ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №45; ს/კ: 01.10.06.022.017

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

დენდროლოგიური პროექტი

განმარტებითი ბარათი:

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქ. თბილისში, დიდ დიღომში გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა #45-ში. საკადასტრო გეგმის მონაცემებით ტერიტორიის ფართობი შეადგენს 6116 კვ.მ-ს. ნაკვეთზე გამიზნულია მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის განთავსება შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად. თავად გრგ მოიცავს ორი დამოუკიდებელი ნაკვეთის განვითარებას და მის შეთანხმების დროს დამუშავდა დენდროლოგიური სქემა, რომელიც წარმოდგენილი იყო ერთიანი პროექტის სახით ორივე ნაკვეთისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის ჩვენს საკადასტრო ერთეულზე დამუშავებული დენდროლოგიური პროექტი, რომელიც ეფუძვნება გრგ-ის ეტაპზე დამტკიცებულ გამწვანების პროექტს.

საპროექტო ტერიტორიაზე ხე-ნარგავების აღწერა განხორციელებულია შპს „დემასო ვუდ 1"-ის ექსპერტ ლევან გოშაძის მიერ განაშენიანების რეგულირების შეთანხმების ეტაპზე და მოიცავს სამ საკადასტრო ერთეულს, რომლებიც გრგ-ის შესაბამისად უკვე წარმოდგენილია ორი ნაკვეთის სახით - ჩვენი საპროექტო ნაკვეთი და მის დასავლეთით მდებარე საკადასტრო ერთეული.

აღწერის მიხედვით სულ ფიქსირდება 6 ხე-მცენარე, ამათგან 5 მოქცეულია ჩვენი საპროექტო ნაკვეთის საზღვრებში:

1 - ვაშლი
2 - ვერხვი
3 - ბროწეული
4 - ლეღვი
5 - ჭერამი

ამათგან მოიჭრება მხოლოდ ჭერამი (#5), ხოლო დანარჩენი მცენარეები შენარჩუნდება.

საპროექტო ხე ნარგავების რაოდენობა შეადგენს 67 ძირს. აღნიშნული ხე-მცენარეები შერჩეულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის #05.14.147 განკარგულების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის ლანდშაფტისა და კლიმატისათვის შესაბამისი ხე-მცენარეების დამტკიცებული სიიდან. ასევე გათვალისწინებულია ქ.თბილისის კლიმატური, ნიადაგობრივი, დეკორატიული და ურბანული პირობები.

საპროექტო ტერიტორა გამწვაებულია შერეული ტიპის ნარგავებით, როგორც წიწვოვანი ისე ფოთლოვანით. დენდროლოგიურ პროექტში გათვალისწინებულია უპირატესობა ხეების დარგვა ბუჩქებთან და გაზონთან მიმართებაში და მცენარეების რაოდენობაც განსაზღვრულია შემდეგი პროპორციებით: 20-25კვ/მეტრი დიდი ვარჯის მქონე წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო ბუჩქებისთვის 10-12 კვ/მეტრი.

გამწვანების პროექტი დასრულდება სამშენებლო პროექტის დასრულებიდან 12 თვის განმავლობაში ვეგეტაციური და აგროტექნიკური პირობების გათვალისწინებით.

გაშენებული მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობაზე პასუხისმგებელი პირი არის პროექტის დამკვეთი - დავით სილაგავა (პ/ნ 01024002394)

სამუშაოთა მოცულობა				
#	სამუშაოთა დასახელება	განზომილება	რაოდენობა	შენიშვნა
1	გასამწვანებელი ტერიტორიის ფართობი	კვ.მეტრი	1842.6	
2	გასამწვანებელი ტერიტორიის გასუფთავება და დამუშავება	კვ.მეტრი	1842.6	
3	ადგილების მომზადება ხეების დასარგავად 50% ტყის მიწის შეტანით	ცალი	67	
4	ხეების დარგვა	ცალი	67	
5	ტერიტორიების მომზადება ჩვეულებრივი გაზონის და ცხაურა მოკირკეთების მოსაწყობად	კვ.მეტრი	1727.6	
6	გაზონის და ცხაურა მოკირკეთების მოწყობა (დათესვა ან რულონის დაგება)	კვ.მეტრი	1842.6	
7	გაზონის მოვლა	კვ.მეტრი	1842.6	4 ძირი არსებული მცენარეები
8	ახალ დარგულ ხე-მცენარეების მოვლა	ცალი	67	
9	ახლად დარგული ხე-მცენარეების, ყვავილნარების და გაზონის მორწყვა	ყველა მცენარე და გაზონი		

ექსპლიკაცია

ტ.ე.მ

მიწის ნაკვეთის ფართობი – 6116 კვ.მ
კ1 კოეფიციენტის ფართობი – 1074.2 კვ.მ (0.2)
კ2 კოეფიციენტის ფართობი – 15479.7 კვ.მ (2.5)
კ3 კოეფიციენტის ფართობი – 1842.6 კვ.მ (0.3)

შენობის განაშენიანების ფართობი – 23775.7 კვ.მ

შენიშვნა

პირობითი აღნიშვნები

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი

ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, N 45
01.10.06.022.017

არქიტექტურული ნაწილი / სტადია - პროექტი

განმარტებითი ბარათი; სამუშაოთა უწყისი

მთ. არქიტექტორი	ა. ლომსაძე	
ავტორი	რ. ებრალიძე	
ავტორი	.	
ავტორი	.	
მასშტაბი	ფურცელი	თბილისი
A3	A.01.3	14-Dec-24



ექსპლიკაცია

ტ.ე.მ

მიწის ნაკვეთის ფართობი - 6116 კვ.მ
კ1 კოეფიციენტის ფართობი - 1074.2 კვ.მ (0.2)
კ2 კოეფიციენტის ფართობი - 15479.7 კვ.მ (2.5)
კ3 კოეფიციენტის ფართობი - 1842.6 კვ.მ (0.3)

შენობის განაშენიანების ფართობი - 23775.7 კვ.მ

შენიშვნა

პირობითი აღნიშვნები

- საკადასტრო საზღვარი
- გაზონი
- გრუნტის ცხაურა მოპირკეთება

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი		
ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, N 45 01.10.06.022.017		
არქიტექტურული ნაწილი / სტადია - პროექტი		
გამწვანების კროკი		
მთ. არქიტექტორი	ა. ლომსაძე	
ავტორი	რ. ებრალიძე	
ავტორი	.	
ავტორი	.	
მასშტაბი	ფურცელი	თბილისი
1:500 A3	A.01.4	14-Dec-24



არსებულ მცენარეთა ექსპლიკაცია

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 10 სმ	დიამეტრი (სმ) მიწიდან: 1.3 მ	სიმაღლე (მ)	აღწერა
1	ჭერამი (Prunus armeniaca)	5.7	3.2	2.5	ხაღი/ ხილკენკრ.
2	ვაშლი (Malus domestica)	0-4		2.0	ხაღი/ ხილკენკრ.
3	ვერხვი (Populus deltoides)	32	22.3	6.5	ხმობადი
4	ბროწეული (Punica granatum)	4-8		2.5	ხაღი/ ხილკენკრ.
5	ლეღვი (Ficus carica)	0-4		1.5	ხაღი/ ხილკენკრ.

გასაშენებელ მცენარეთა ექსპლიკაცია

აღნიშვნა	მცენარეთა დასახელება	რაოდენობა	სიმაღლე	ღეროს გარშემოწერილობა	ფორმა	ხნოვანება	მახასიათებლები
	Celtics caucasica კავკასიური აკაკი	6	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, ნელა მზარდი
	Fraxinus angustifolia გრძელფოთოლა იფანი	7	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
	Fraxinus excelsior ჩვეულებრივი იფანი კოპიტი	16	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
	Acer campestre დიდფოთოლა ნეკერჩხალი	20	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
	Prunus pisardi nigra წითელი დეკორ. ტყემალი	12	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
	Pinus pinea იტალიური ფიჭვი	3	3.0 მ-დან	20 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, სწრაფად მზარდი
	Tilia tomentosa უნგრული ცაცხვი	3	3.5 მ-დან	18 სმ-დან	ხე	5-10 წ	გვალვაგამძლე, საშუალოდ მზარდი

გასაშენებელი ხე-ნარგავების რაოდენობა და ჯიშები წარმოდგენილია განაშენიანების რეგულირების გეგმის ეტაპზე შეთანხმებული დენდროლოგიური პროექტის მონაცემების შესაბამისად, რომლის მიხედვით ნაკვეთზე უნდა დაირგოს 67 ძირი ხე-მცენარე.

ექსპლიკაცია

1 - საპროექტო შენობა
2 - საბავშვო მოედანი
3 - სპორტული აქტივობის სივრცე
4 - ეზო/გამწვანება
5 - ბულვარი
6 - სახანძრო ჰიდრანტი
7 - ელ. გენერატორი

ტ.ე.მ

მიწის ნაკვეთის ფართობი - 6116 კვ.მ
კ1 კოეფიციენტის ფართობი -
კ2 კოეფიციენტის ფართობი -
კ3 კოეფიციენტის ფართობი - 1842.6 კვ.მ (0.3)

შენიშვნა

პირობითი აღნიშვნები

- საკადასტრო საზღვარი
- გაზონი
- გრუნტის ცხაურა მოპირკეთება
- კავკასიური აკაკი - 6 ძირი
- გრძელფოთოლა იფანი - 7 ძირი
- ჩვეულებრივი იფანი კოპიტი - 16 ძირი
- დიდფოთოლა ნეკერჩხალი - 20 ძირი
- წითელი დეკორატიული ტყემალი - 12 ძირი
- იტალიური ფიჭვი - 3 ძირი
- უნგრული ცაცხვი - 3 ძირი
- შესანარჩუნებელი ხე-მცენარე
- მოსაჭრელი ხე-მცენარე

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი		
ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა, N 45 01.10.06.022.017		
არქიტექტურული ნაწილი / სტადია - პროექტი		
დენდროლოგიური გეგმა		
მთ. არქიტექტორი	ა. ლომსაძე	
ავტორი	რ. ებრალიძე	
ავტორი	.	
ავტორი	.	
მასშტაბი	ფურცელი	თარიღი
1:500 A3	A.01.5	14-Dec-24

მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული აზომვითი ნახაზი

ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა №45



შენიშვნა: ტოპოგრაფიულ ნახაზზე საზოგანი ნაგებობები დატანილია რეგისტრირებული მონაცემებიდან

პირობითი აღნიშვნები	შენიშვნა: მიწის სამუშაოები შეათანხმეთ კომუნიკაციის წარმომადგენლებთან			პროექცია UTM 38N საკოორდინატო სისტემა WGS 84
მიწისქვეშა კომუნიკაციები	ნაკვეთის საზღვარი	ბუჩქი	ცოცხალი ღობე	ღობე
კანალიზაცია	შენობა	ვაზი	ხეების რიგი	ბორდიური
დენის კაბელი	არკა	გაზონი	ტრანსფორმატორი	ბეტონი
გაზის მილი	ფარდული	სამეთვალყურეო ჭები	რადიო ან ტელე ანძა	კედელი
წყლის მილი	კიბე	ძეგლი	ლამპიონები	საყრდენი კედელი
კავშირგაბმულობა	ფოთლოვანი ხე	შადრევანი	ელექტრო ბოძი	ბილიკი
	წიწვოვანი ხე	ონკანი	რკინიგზა	გზის კონტური
	ხეხილის ხე	წყარო ან ჭა	იზოხაზი	ფერდი
	პალმა	მაღალი ძაბვის გადამცემი	მთავარი იზოხაზი	წყლის კონტური

შპს "ზვიად წიქლაური" ს/ნ 01027016042
თბილისი, აწყურის ქუჩა №30 +995 514-44-11-41 Email: zviadiw@gmail.com

აზომა		
კომპ. უზრუნველყოფა		ზ. წიქლაური
დამკვეთი		
მასშტაბი 1:500		10.10.2023

დოკ. №: 2209-121 ▪ თარიღი: 07.09.2023

საექსპერტო დასკვნა
მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

DEMASO WOOD 1

მისამართი: ***ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა N45*** ▪ *ს/კ:* ***01.10.06.001.255***
მესაკუთრე: ***შპს "გალაქსი ლენდი"***
ფართობი: ***6475 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***6***

დასკვნა

ქვემოთ, პუნქტებად მოცემულია 2023 წლის 5 სექტემბერს, ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის N45 მისამართზე, შპს "გალაქსი ლენდის" საკუთრებაში არსებულ, ს/კ 01.10.06.001.255 მიწის ნაკვეთზე, 6 მერქნიანი მცენარის ხარისხობრივი შეფასების შემაჯამებელი მონაცემები.

1. რაოდენობები სახეობათა ჯგუფებისა და მცენარეთა მდგომარეობის მიხედვით. შეფასებული 6 მერქნიანი მცენარიდან 5 არის ჯანსაღი, 1 - ხმობადი. მათ შორის:
- 4 ხილკენკროვანი (ყველა ჯანსაღი)
- 1 დაბალი ღირებულების ფოთლოვანი - ვერხვი (Populus deltoides) N3 (ხმობადი)
- 1 მაღალი ღირებულების ფოთლოვანი - კაკლის ხე (Juglans regia) N 6 (ჯანსაღი)

2. საქართველოს წითელი ნუსხით დაცულ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. აღიწერა საქართველოს წითელი ნუსხით დაცული 1 მცენარე, კერძოდ:
- 1 კაკლის ხე (Juglans regia) N 6

3. არაჯანსაღ მცენარეთა სახეობები, რაოდენობები, ნომრები. სულ გამოვლინდა 1 არაჯანსაღი (ხმობადი) მცენარე, კერძოდ:
- 1 კანადური ვერხვი (Populus deltoides) N3 (ხმობადი)

4. გადარგვადი მცენარეები. საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისი მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, 1 არახილკენკროვანი მცენარე შეიძლება დაექვემდებაროს გადარგვას - კაკლის ხე (Juglans regia) N 6. მისი დიამეტრი არის 25 სმ-ზე ნაკლები.

მცენარეთა მახასიათებლები მოცემულია შემდეგ ცხრილში:

№	მცენარის დასახელება	დიამეტრი (სმ) მიწიდან:		სიმაღლე (მ)	აღწერა
		10 სმ	1.3 მ		
1	ჭერამი (Prunus armeniaca)	5.7	3.2	2.5	საღი/ ხილკენკრ.
2	ვაშლი (Malus domestica)	0-4		2.0	საღი/ ხილკენკრ.
3	ვერხვი (Populus deltoides)	32	22.3	6.5	ხმობადი
4	ბროწეული (Punica granatum)	4-8		2.5	საღი/ ხილკენკრ.
5	ლეღვი (Ficus carica)	0-4		1.5	საღი/ ხილკენკრ.
6	კაკლის ხე (Juglans regia)	0-4		1.0	საღი/ წით. ნუსხა/ გადარგვადი

*** გადარგვის შესაძლებლობის განსაზღვრისას, მხედველობაში მიიღება შემდეგი პირობები: მცენარე უნდა იყოს ჯანსაღი და კარგად განვითარებული, არ იყოს წვერხმელი, არ გააჩნდეს გულის სიდამპლე ან დაავადება, ვარჯში ხმელი ტოტების რაოდენობა არ აღემატებოდეს 15 %-ს, არ იყოს გადაბერებული/ამორტიზებული. თუ ასეთი ხეების გადარგვა მოხდება წლის არასავეგეტაციო პერიოდში, გადარგვისა და შემდგომი მოვლის სათანადო მეთოდოლოგიის მკაცრი დაცვით და თუ ადგილი არ ექნება მათზე ძლიერ მექანიკურ ან ხელოვნურ ფიზიკურ-ქიმიურ ზემოქმედებას, მაშინ მათი გადარგვის შემდგომი გახარების ალბათობა იქნება ფაქტიურად ისეთივე, როგორიც იქნებოდა მათი ადგილზე შენარჩუნების შემთხვევაში.**

წინამდებარე დოკუმენტს დანართად ახლავს ფოტოსურათები.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD * 400331716



№1



№2



№3



№4



№5



№6

დოკ. №: 2309-131 ▪ თარიღი: 07.09.2023

საექსპერტო დასკვნა

ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების არსებობის შესახებ

DEMASO WOOD 1

მისამართი: ***ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, №47***
ს/კ: ***01.10.06.001.256*** ▪ *მესაკუთრე:* ***შპს "გალაქსი ლენდი"***
ფართობი: ***4817 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***0***

დასკვნა

2023 წლის 5 სექტემბერს, ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის №47 მისამართზე რეგისტრირებული, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, კერძო საკუთრებაში არსებული, ს/კ 01.10.06.001.256 მიწის ნაკვეთის დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ:

ს/კ 01.10.06.001.256 მიწის ნაკვეთზე, მერქნიანი მცენარეები არ მდებარეობს.

ექსპერტი: ლევან გოშაძე (01008013049)

ტერიტორიის ფოტო



შემსრულებელი:

შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD 400331716

დოკ. №: 2309-141 ▪ თარიღი: 07.09.2023

საექსპერტო დასკვნა

მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასება

მისამართი: ***ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა N47-ის მიმდებარედ***
ს/კ: ***01.10.06.022.006*** ▪ *მესაკუთრე:* ***შპს "პროგრესია მეტადეველოპმენტი"***
ფართობი: ***285 მ²*** ▪ *შეფასებულ მცენარეთა რაოდენობა:* ***1***

დასკვნა

2023 წლის 5 სექტემბერს, ქ. თბილისში, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩის N47-ის მიმდებარედ რეგისტრირებულ, შპს "პროგრესია მეტადეველოპმენტის" საკუთრებაში არსებულ, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, ს/კ 01.10.06.022.006 მიწის ნაკვეთზე მდებარე 1 მერქნიანი მცენარის შეფასების შედეგად დადგინდა, რომ **აღნიშნული მცენარე წარმოადგენს დაბალი ღირებულების ფოთლოვან სახეობას - თუთას (Morus). მისი მონაცემებია: დიამეტრი მიწიდან 10 სმ-ზე – 0-4 სმ; სიმაღლე – 1.5 მ; მდგომარეობა – ჯანსაღი. საჭიროების შემთხვევაში, სათანადო მეთოდიკის გამოყენებით, გახარების მაღალი ალბათობის პირობით, შესაძლებელია მისი გადარგვა.**

დოკუმენტს დანართად ახლავს ფოტოსურათი.

ექსპერტი: _____ ლევან გოშაძე (01008013049)

შემსრულებელი:
შპს დემასო ვუდ 1 (400331716)

დირექტორი: ***ემზარ შარია***

demasowood@gmail.com
(+995) 593 18 18 70

შპს "დემასო ვუდ 1" * DEMASO WOOD 1 LTD * DEMASO WOOD 1 400331716



№1

წერილის ნომერი: **01233393634**
თარიღი: **05/12/2023**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 16 ნოემბრის №012332025-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის №45-47-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.06.001.255; 01.10.06.001.256; 01.10.06.022.006; **არსებული ფუნქციური ზონა:** საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); **საპროექტო ფუნქციური ზონა:** საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების საკითხს.

,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) მე-8 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული მოთხოვნებიდან, წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს დაგეგმილი გამწვანების შესახებ ზოგად მონაცემებს, კ-3 გამწვანების კოეფიციენტის მითითებით **(სზ-6=0.3)** და ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავების ხარისხობრივ შეფასებაზე გაცემულ საექსპერტო დასკვნას, რომლის შესაბამისად, განმცხადებელი 01.10.06.001.255 საკადასტრო ერთეულზე გეგმავს 1 ძირი მწვანე ნარგავის მოჭრას (ხილკენკროვანი - №1).

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა საკადასტრო ერთეულებზე 01.10.06.001.255; 01.10.06.001.256; 01.10.06.022.006 დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება.**

აქვე გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობის დაანგარიშება თითოეულ მიწის ნაკვეთზე უნდა განხორციელდეს 0.3 კოეფიციენტის შესაბამისად და ნაცვლად 3459.9 მ^2-სა უნდა შეადგენდეს 3473.1 მ^2-ს.

დამატებით, გამწვანების დეტალურ (დენდროლოგიურ) პროექტთან დაკავშირებით, რომელიც უნდა დამუშავდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე (საპროექტოდ გათვალისწინებული თითოეული ნაკვეთისთვის/სექტორისთვის ცალ-ცალკე), გაცნობებთ, რომ შერეული, მაღალპროდუქტიული კორომების ჩამოყალიბება ქალაქის ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების სავალდებულო წინაპირობაა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, ერთი სახეობის მწვანე ნარგავის ნაცვლად, ტერიტორია გამწვანდეს შერეული ტიპის წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეებით.

მაღალპროდუქტიული კორომების შექმნისა და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, სამსახური უპირატესობას ანიჭებს დიდი ვარჯის მქონე ხეების დარგვას ბუჩქებთან და გაზონებთან მიმართებით. ამდენად, მწვანე ნარგავების რაოდენობა უნდა განისაზღვროს შემდეგნაირად: 10-12 მ^2 ერთი ძირი მცირე ზომის ან პირამიდული ვარჯის მქონე ხისთვის (მაგ. ირმის რქა, ნეკერჩხალი (ლეკა) ბურთისებრი ფორმა და სხვა), 20-25 მ^2 დანარჩენი წიწვოვანი და ფოთლოვანი ხეებისთვის, ხოლო, 6 მ^2 ერთი ძირი ბუჩქისთვის (მაგ: იაპონური კვიდო, ტუია და სხვა).

დასარგავი მწვანე ნარგავების სახეობა უნდა შეირჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის № 05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან, **გარდა შავი და ელდარის ფიჭვების, ვერხვის, ასევე კვიპაროსის სახეობების და ხილკენკროვანი ხეებისა.**

ვინაიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და მის შემოგარენში, ელდარისა და შავი ფიჭვის სახეობებში მასობრივად არის გავრცელებული მავნებლებით გამოწვეული დაავადებები, რაც იწვევს მათ დაზიანებასა და ხმობას, დაავადების გავრცელების ან/და ახალი კერების წარმოქმნის პრევენციის მიზნით, სამსახურს მიზანშეწონილად არ მიაჩნია გამწვანების პროექტში აღნიშნული სახეობების გამოყენება.

რაც შეეხება ვერხვის ხეებს, ისინი ტენის მოყვარული მალე მზარდი ხეებია, მათ გააჩნიათ საკმაოდ ძლიერი ფესვთა სისტემა, რომელიც ვითარდება წყლის მიმართულებით. შესაბამისად, ურბანულ სივრცეებში, შენობა-ნაგებობების, წყალ-გაყვანილობისა და კანალიზაციის მილების დაზიანების გამომწვევი მიზეზი ხშირად ხდება. ასევე, მათი დაბალი ამორტიზაციის ასაკის გამო ვერხვის მტვრევადი

ტოტები და წაქცევის საშიშროება საფრთხეს უქმნის მოსახლეობასა და კერძო საკუთრებას. აგრეთვე, ყვავილობის პერიოდში ვერხვის ბუსუსოვანი თესლი ჰაერში აქტიურად იფანტება და სერიოზულ საფრთხეს უქმნის ალერგიის მქონე ადამიანებს; ასევე, ვინაიდან ვერხვი თავისი ჰაბიტატითა და სასიცოცხლო ფუნქციით ტენიანი ტერიტორიების ბინადარია და მისი აგრო-დეკორატიული დანიშნულება ქარსაცავი ზოლის შექმნაა, ის უნდა დაირგოს დასახლებიდან მოშორებით. შესაბამისად, შესაძლო ზიანის პრევენციისათვის, მიზანშეწონილი არ არის ალვის ხის დარგვა ინტენსიურად დასახლებულ უბნებში.

აქვე გაცნობებთ, რომ ფოთლოვანი ხეების დარგვის შემთხვევაში ნერგის სიმაღლე უნდა იყოს არანაკლებ 3.5 მეტრი, ხოლო, წიწვოვანის შემთხვევაში - **არანაკლებ 3 მეტრი,** ხოლო ნერგის გარშემოწერილობა - **არანაკლებ 20 სანტიმეტრი.**

დამატებით გაცნობებთ, რომ დადგენილების მე-9 მუხლის მე-17 პუნქტის მიხედვით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შემუშავებისას იმ შემთხვევაში, როდესაც დასაგეგმარებელი ტერიტორია ხვდება შესაბამისი მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საზღვრებში, დასაგეგმარებელ ტერიტორიაზე თვალსაჩინო ადგილას განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე განაშენიანების ძირითადი დებულებებით გათვალისწინებული ინფორმაციის გარდა აუცილებლად უნდა იყოს განთავსებული განაშენიანების რეგულირების გეგმით დაგეგმილი გამწვანების სივრცეების შესახებ ინფორმაცია.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **01242142958**
თარიღი: **01/08/2024**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 1 აგვისტოს №012421420-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩის №45-47-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 01.10.06.001.255; 01.10.06.001.256; 01.10.06.022.006; არსებული ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 1 (სსზ-1); საპროექტო ფუნქციური ზონა: საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების მშენებლობის მიზნით განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი ერთი ძირი (ს/კ: 01.10.06.001.255 - №1) მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა ან/და გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მისი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (არსებული: 1 ძირი თუთა; საპროექტოდ დასარგავი: 15 ძირი კავკასიური აკაკი, 15 ძირი გრძელფოთოლა იფანი, 35 ძირი ჩვეულებრივი იფანი კოპიტი, 35 ძირი დიდფოთოლა ნეკერჩხალი, 28 ძირი წითელი დეკორატიული ტყემალი, 10 ძირი იტალიური ფიჭვი, 17 ძირი უნგრული ცაცხვი; ჯამში - 156 ერთეული) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს (3 562.1 მ^2).

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

ამასთან, იმ შემთხვევაში თუ საპროექტო ტერიტორიაზე ან მის მიმდებარედ ფიქსირდება ხაზობრივი ნაგებობები, ასევე, თუ საპროექტო წინადადება ითვალისწინებს მათ გაყვანას, საჭიროა დეტალური პროექტირების ეტაპზე გათვალისწინებული იქნას დადგენილი შეზღუდვის არეალები, რომლის დაცვითაც მოეწყობა შემდგომში გასამწვანებელი სივრცეები და დაირგვება მწვანე ნარგავები.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმა.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

დენდროლოგიური პროექტის საინფორმაციო დაფა

დამკვეთი: დავით სილაგავა

საპროექტო ტერიტორიის მისამართი:
ქ. თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №45; ს/კ: 01.10.06.022.017

ნებართვის გამცემი ორგანო: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური.

კ3 კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი - 1842.6 კვ; (კ3 - 0.3)

დენდროლოგიური პროექტის შეთანხმების თარიღი:

დენდროლოგიური პროექტის დასრულების თარიღი: 2028 წელი

დასარგავი ხე-მცენარეების სახეობები:

6 ძირი კავკასიური აკაკი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
7 ძირი გრძელფოთოლა იფანი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
16 ძირი ჩვეულებრივი იფანი კოჰიტი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
20 ძირი დიდფოთოლა ნეკერჩხალი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
12 ძირი ვითელი დეკორ. ტყემალი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
3 ძირი იტალიური ფიჭვი - სიმაღლე: 3.0 მ-დან; გარშემოწერილობა 20 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.
3 ძირი უნგრული ცაცხვი - სიმაღლე: 3.5 მ-დან; გარშემოწერილობა 18 სმ-დან; ხნოვანება 5-10წ.

არსებული ხე-მცენარეები - 4 ძირი

ახლადდარგულ ხე მცენარეების მოვლაზე პასუხისმგებელი პირი:
დავით სილაგავა

ახლადდარგული ხე მცენარეების მოვლის ხანგრძლივობა: 3 წელი

